თბილისში, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ.N148-ში განთავსებული საცხოვრებელი სახლის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



თბილისი

2026

ჩვენ მიერ საკვლევი შენობა განთავსებულია თბილისის ისტორიულ ნაწილში, უწინდელ „თბილისის კოლონიიის“ ტერიტორიაზე. სადაც, ისევე როგორც ამ ადგილის მთავარ მაგისტრალზე - დავით აღმაშენებლის გამზირზე, მიმდებარე კვარტლებშიც კონცენტრირებულია ქალაქის მნიშვნელოვანი ურბანული ძეგლები. სწორედ, ამ ძეგლთა შორისაა მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩაზე XIXს-ის ბოლოს აგებული სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი N148, რომლის მისამართზეც, ე.წ. ძეგლის ტერიტორიაზე, ასევე აღრიცხულია არაერთი ნაკლებადღირებული გვიანდელი და დამხმარე მინაშენი თუ ნაგებობა.* მათ შორის არის, დღეს ჩვენთვის საინტერესო, ფლიგელის ბოლოში 1970-იან წლებში მიშენებული მოცულობაც, რომლის წინაც, ეზოში, ამჟამად განსაზღვრულია ნახევარსარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობა.

წინამძღვრიშვილის ქუჩას თავდაპირველად ელისაბედის, საბჭოთა პერიოდში კი კლარა ცეტკინის ქუჩა ერქვა. ის წარმოიქმნა XIX საუკუნის 20-იან წლებში ყოფილი სოფ. კუკიის და ჩუღურეთის ფარგლებში და იმ დროისთვის თბილისის ყველაზე გრძელი ქუჩის - მიხეილის (დღეს - აღმაშენებლის) პროსპექტის პარალელურად, აქტიურად განვითარდა, როდესაც აქ 1818 წლიდან გერმანელი კოლონისტები დაასახლეს და მალევე, 1824 წ., სოფლები კუკია და ჩუღურეთიც ოფიციალურად შეუერთდა ქალაქს და საერთო აღმშენებლობის პროცესში ჩაერთო.

“თბილისის კოლონია” სხვა გერმანული კოლონიებისგან განსხვავებით, რომელთა საქმიანობასაც სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა, ძირითადად, ხელოსნობით იყო დაკავებული: აქ ცხოვრობდნენ კალატოზები, ხეზე კვეთის ოსტატები, ხარაზები, მჭედლები, და სხვ. ამავე დროს მცირე რაოდენობით აქაც მისდევდნენ სოფლის მეურნეობას: მოჰყავდათ ხეხილი, ყურძენი. მათ მიერ გაშენებული ბაღების ნაწილი საზაფხულო პარკებისა თუ საცხოვრებელი სახლების ეზოების სახით, დღემდეა შემორჩენილი.

ამავე პერიოდში იქნა აგებული აგრეთვე, გერმანული ეკლესია - კირხე, დღევანდელი მარჯანიშვილის მოედანზე, რომელიც მოგვიანებით, II მსოფლიო ომის შემდეგ, მოედნის რეკონსტრუქციის დროს დაანგრიეს.

* იხ. დანართი -კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N3/181, სააღრიცხვო ბარათი N010102293

დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირის და მისი პარალელური კვარტლების განაშენიანების სახეს ამჟამად, ძირითადად, XIX საუკუნის 80-იან წლებში და მის შემდგომ აგებული შენობები განაპირობებს. ეს არის მრავალფეროვანი ხუროთმოძღვრება, რომლის საერთო ხასიათის შექმნაშიც დიდი წვლილი მიუძღვით იმ დროის გამოჩენილ გერმანელ თუ სხვა უცხოელ არქიტექტორებს. შედეგად, მიხეილის ქუჩა მიმდებარე კვარტლებთან ერთად, თავისი რეგულარული გეგმარებით და ევროპული არქიტექტურით, XIX საუკუნის უცხოელი მოგზაურების მიერ, "ქალაქის ევროპულ ნაწილად" მოიხსენიებოდა, ისევე, როგორც გოლოვინის პროსპექტი. განსხვავებით, უძველესი კალასა და სეიდაბადისგან – "ქალაქის აზიური ნაწილისგან".

რაც შეეხება კონკრეტულად წინამძღვრიშვილის N148-ში მდებარე ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელ სახლს, იგი აგრეთვე „ევროპულ" იერს ატარებს – კლასიცისტური ელემენტებით გაფორმებული მისი მთავარი ფასადი ქუჩის განაშენიანების ხაზზე გამოდის და დღეისათვის მომიჯნავე შენობების არარსებობის გამო, ყველა მხრიდან თითქმის სრულად ხილვადია





საცხოვრებელი სახლი სამსართულიანია, ქუჩისპირას მთავარი ფასადით გაშლილი სწორკუთხა მოცულობის კიდეები ეზოს მიმართულებით ორი გრძელი ფლიგელით ვითარდება. სახლი სამი მაღალი სართულისგან შედგება. მთავარი ფასადის კომპოზიცია სიმეტრიულია. პირველ სართულზე ცენტრალურ ღერძზე სადარბაზო შესასვლელია ხის ორფრთიანი პროფილირებული კარით, მის მარცხნივ ეზოში შემავალი გვირაბია რკინის ჭიშკრით. ფასადი სამივე სართულზე კარ-ფანჯრებით ნაწევრდება, ყველა ღიობი სწორკუთხა ფორმისაა. კედლის დარჩენილი სიბრტყე მთლიანად რუსტირებულია - პირველ სართულზე მსხვილად, მეორეზე - ნაკლებად და მესამეზე - სუსტად. II-III სართულებზე სიმეტრიულად დაკიდებული 2-2 აივანია. ოთხივე აივანი ერთნაირია ლითონის ჭვირულორნამენტებიანი მოაჯირებით. თითოეულ ფანჯარასა თუ კარს მსუბუქად პროფილირებული ნალესი საპირეები

აკრავს.

აღსანიშნავია, რომ მესამე სართული, სადაა, ნაკლებად გაფორმებული და ერთი შეხედვით, შედარებით გვიანდელ დაშენებად აღიქმება (შესაძლოა ლითონის აივნებიც იმდროინდელია, მოგვიანო), თუმცა ეზოს მხრიდან სამივე სართულის ერთიანი შუშაბანდები და სახლის მთლიანი გვერდითი კედლები, ამას არ ადასტურებს. ყველა შემთხვევაში, ეს დაშვება, მეტ კვლევას საჭიროებს, რაც ამ ეტაპზე ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენდა.

დასრულებულია შენობა მაღალი პარაპეტით და რელიეფურად პროფილირებული კარნიზით. მთლიანობაში, შენობის ფასადს თავისი გაფორმებით, გვიანდელი კლასიცისტური სახე აქვს - გაწონასწორებული და წარმოსადეგი. აგებულია შენობა აგურით, მთავარი ფასადი შელესილია და ნაცრისფრად შეღებილი.

სახლს აქვს მოზრდილი ეზო, რომელიც სიღრმეში ვითარდება, ყოფილი, გერმანელთა კოლონიისდროინდელი ბაღის ადგილზე. ეზო საზიაროა სიღრმეში მდგომ ნაკლებადღირებულ შენობა-ნაგებობებთან. ძეგლი-შენობის ეზოს შუშაბანდებიანი ფასადები ის იშვითი გამონაკლისია თბილისური სახლებისთვის, რომლებიც თითქმის უცვლელი სახით არის ჩვენამდე მოსული და გვიანდელი შეკეთება-ცვლილებები მცირე რაოდენობითაა, ფლიგელების პირველ სართულებზე მიშენებული გვიანდელი კიბეებიც კი სისტემურ და მოწესრიგებულ სახეს ატარებს



ხედი ეზოსკენ



ხედი ეზოდან

გვიანდელი ჩარევები ყველაზე მეტად ფლიგელების ვიწრო ბოლოებში ჩანს - მარცხენა ფლიგელზე, სამივე სართულის სიმაღლეზე, 1970-იან წლებში მიშენებული მოცულობაა, საცხოვრებელი ფართებით, სადაც მეორე-მესამე სართულებზე გამეორებულია სახლის შუშაბანდებიანი სახე. მიშენებას ასევე აქვს მაღალი ნახევარსარდაფი. აღნიშნული მოცულობა ძეგლის არაღირებულ ნაწილს წარმოადგენს, და ამჟამად აქ განზრახულია მცირე რეკონსტრუქციის ჩატარება, კერძოდ, ეზოდან ნახევარსარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობა. რაც, წინააღმდეგობაში არ მოვა ეზოში უკვე არსებულ სურათთან. მარჯვენა ფლიგელზე აგრეთვე მიშენებაა, მხოლოდ, ნაწილობრივი - პირველ და მეორე სართულის მხოლოდ ნახევარზე - და უფრო ქაოტური სახის მქონე



მინაშენები შენობის ფლიგელებზე ეზოს მხრიდან

საინტერესოა, აგრეთვე ამავე კონტექსტში, თვალი გადავავლოთ წინამძღვრიშვილის ქუჩის მოცემული მონაკვეთის განაშენიანების ხასიათს. ზოგადად, ქუჩის ამ ბოლო ნაწილში ნაკლებადღირებული განაშენიანებაა, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით და შეიძლება ითქვას, ნაკლებად ინტენსიურიც, განსხვავებით, ამ გრძელი ქუჩის უდიდესი ნაწილისა - დასაწყისიდან კარგარეთელის ქუჩის კვეთამდე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ შენობათა უმეტესობა დღემდე ინარჩუნებს აუთენტურობას, მიუხედავად მათი მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა. ასეა, N148-ის შემთხვევაშიც - საცხოვრებელი სახლი თითქმის მთლიანად პირვანდელი სახით არის ჩვენამდე მოსული.

ტერიტორიის განვითარების ისტორიის კუთხით, საინტერესოა, რომ 1860-იან წლებში ეს ადგილი ისევე, როგორც მთლიანად გერმანელთა კოლონია, ვრცელი მწვანე

ბაღებით იყო დაფარული. 1867 წლის რუკაზე ჩანს, რომ მიხეილის ქუჩის პერპენდიკულარულად ქუჩები ჯერ არ არის დაკვალული, მაგრამ უკვე გამოყოფილია ვიწრო და გრძელი სამოსახლო ნაკვეთები, გამოკვეთილია განაშენიანების რეგულარული დაგეგმარების ტენდენცია. მოგვიანებით, ერთ-ერთი ასეთი ნაკვეთი, საკუთრივ, დღევანდელი N148-ის ტერიტორია ცნობილია, რომ ეკუთვნოდა ვინმე ანა ილიაშენკოს და მისი ნაკვეთის მოპირდაპირე მხარეს, მე-19 საუკუნის ბოლოს, როდესაც ჩვენთვის საინტერესო შენობა აშენდა, იმდროინდელი ელისაბედის ქუჩაზე უკვე არსებობდა არტილერიის მოედანი და სამხედრო ბრიგადების შენობები.•

ამ სახლის უახლოესი გარემოცვიდან აქვე აღსანიშნავია, მის გვერდით მდებარე, 1880-იან წლებში აგებული ლუიზა მადერის ცნობილი ლუდსახარში ქარხანა - ზუსტად დღევანდელი კონსტანტინე ფოცხვერაშვილის (იმ დროს ბატარეის) ქუჩის პერპენდიკულარად. ქარხანა როგორც შედარებით მოგვიანო - 1907, 1910წლების საარქივო რუკებზე ჩანს, იმ დროისთვის სამი ნაგებობისგან შედგებოდა



თბილისის გეგმა, 1907 წელი, ფრაგმენტი

• დღეისათვის ჩუბინაშვილის, ფოცხვერაშვილის, კონსტიტუციისა და ნინოშვილის ქუჩებს შორის მოქცეული ყოფილი ბაზრის ტერიტორია. 1860-იანი წლებიდან 1924 წლის ჩათვლით ეს მოედანი დატანილია თბილისის რუკებზე, 1934 წელს კი აღარ არის, როდესაც ნინოშვილის ქუჩა დაგრძელდა და ეს მოედანი განივად გადაიკვეთა.

დღეისათვის, წინამძღვრიშვილის ქ. N150-ში ლაღიძის წყლების ქარხანაა, სადაც სასმელების წარმოება და რეალიზაცია ხდება. ნაგებობა არქიტექტურული თვალსაზრისით არაღირებულია, თუმცა, ატარებს ისტორიულ მეხსიერებას და სწორედ, ამ მხრივ არის აღსანიშნავი



ლაღიძის წყლების საწარმო

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, კიდევ ერთი ისტორიული ნაგებობაა - ოდნავ მოცილებით, N125-ში მდებარეობს ძეგლის სტატუსის მქონე თამბაქოს ფაბრიკის შენობა, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისშია აგებული, არ ნუვოს ელემენტებით, დღეისათვის უფუნქციო და მოუვლელი.

თუ დღევანდელ განაშენიანებას 1920-იანი წწ. სურათთან შევადარებთ, ჩანს როგორ ფრაგმენტულად შემორჩა გამწვანება კვარტლების შიგნით და როგორ დაიკავეს მათი ადგილი უსისტემოდ, ხშირად სტიქიურად, აშენებულმა უსახურმა ნაგებობებმა. დღევანდელი შიდაკვარტალური განაშენიანება ისტორიულ-არქიტექტურული თვალსაზრისით, სრულიად არაღირებულია, რაც კარგად ჩანს თბილისის ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმაზე – წითელი ფერით აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ძირითადად კვარტლების პერიმეტრებზეა განთავსებული



თბილისის გეგმა, 1924 წელი, ფრაგმენტი



თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, 2007 წელი, ფრაგმენტი

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ამჟამად დაგეგმილი, ეზოდან ნახევარსარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობა, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით, სრულიად დასაშვებია, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- მოეწყოს სადა, მინიმალისტური ფორმის მქონე ფუნქციური კიბე
- შენარჩუნებულ იქნას შენობის გვიანდელი მიშენების გაბარიტები
- მოწესრიგდეს არსებული მიშენების ექსტერიერი, ფასადი შეიღებოს ნეიტრალურ ფრად

მ. შავიშვილი
ხელოვნებათმცოდნე
20.01.2026

დანართი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010102293

1. სახელწოდება - საცხოვრებელი სახლი 2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილი მიხეილის ქუჩა 148 3. სახეობა - არქიტექტურის 4. თარიღი - მე-19 საუკუნის დასასრული